ხობის მოამბე

№3 (7118) 29 თებერვალი,
შაბათი, 2020 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„თვითმმართველობა უძველესი რაობაა ადგილის ყოველდღიურის საქმეთა. საკა უნდა დაანგოთ, ეგი ყველაფერ ხელთაა... ყოველი სასოფლოშენი, თვალახლ ტრესეზედ ცოდვათ თუ ფეხრად დაძღვანი, ხარენდ-ხარენდად ანის დაყოფილია, ისიც ეთვალა და ანგარიშია აღებული ოდის.“

3 მარტი — გაზაფხულის დღესასწაულებს გილოცავთ, ძვირფასო ქალებო! — 8 მარტი

ძვირფასო დედებო და ქალბატონებო,
დიდი პატივისცემით გილოცავთ დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღეს!

ფასდაუდებელია თქვენი წვლილი ქვეყნის განვითარების პროცესში, თითოეულ თქვენგანს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ჩვენი ქვეყნისა და სახელმწიფოს შექმნის საქმეში. გისურვებთ ულევ წარმატებას, სიყვარულს და ბედნიერებას.

დედებო, მუდამ გეამაყოთ თქვენი შვილებით. თქვენი ცხოვრების ყოველი დღე ყოფილიყოს გაზაფხულივით ლამაზი და მშვენიერი, სილაღე და სიხალისე არ მოგკლებოდეთ, მუდამ ღიმილი გიმშვენებდეთ სახეს. მეტ ძალას, მეტ წარმატებას, სიცოცხლის სურვილსა და ოცნებების ასრულებას გისურვებთ! ყოველგვარი წინააღმდეგობა მარტივად დაგეძლიოთ და ჰარმონიული ცხოვრება გქონოდეთ!

ირაკლი (დაჩი) ბერაია,
საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატი.

ძვირფასო დედებო, ქალბატონებო!

გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ და მშვენიერ დღესასწაულებს.

ქალს განსაკუთრებული როლი აკისრია სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების საქმეში. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ქართველ ქალთა გმირობისა და თავდადების უტყუარი მოწმეა. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება, ქალები კვლავაც დგანან ჩვენი სამშობლოს ერთიანობისა და სიძლიერის სადარაჯოზე.

ქალბატონებო, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ სიხარულს და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერი.

გილოცავთ დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღეს. ყველა ქალს გისურვებთ ბედნიერებას, საუკეთესო წლებს, კარიერულ წინსვლას და გარემოს, სადაც შეძლებთ თქვენი უფლებების სრულ რეალიზებას! უმნიშვნელოვანესია თქვენი წვლილი ჩვენი ქვეყნის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისა და საყოველთაო კეთილდღეობის მშენებლობის პროცესში.

ბოლო წლებია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად უჭერს მხარს და უერთდება სახელმწიფო პოლიტიკას ქალთა უფლებების დასაცავად. ჩვენ ვიზიარებთ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მნიშვნელობას და მხარს ვუჭერთ თანასწორუფლებიანობას!

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ ბედნიერ წლებს!

ედიშერ ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ქვემო ქვალონში 300 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა შენდება

ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში 300 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა შენდება.

ინფრასტრუქტურული პროექტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 4 მილიონ 95 ათას ლარს შეადგენს.

პროექტის შესაბამისად მოეწყობა მოსწავლეთა და პედაგოგთა ოთახები, ღია ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედანი, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა-წიგნსაცავი, ექიმის კაბინეტი, კვების ბლოკი, სპორტული დარბაზი და რეკრეაციული ზოლი.

სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად იქნება მოწყობილი, ხოლო სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში წარიმართება.

ხობის მუნიციპალიტეტში 30-მილიონიანი საწარმო აშენდება

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები: ლუდუკ ხასია და დავით ვერავა, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია საერთაშორისო სავაჭრო კომპანიის HIP HOLDING-ის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე მხარეებმა ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილ პროექტსა და ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს.

ნიდერლანდური კომპანიის „H.I.P. Trade“-ის ინვესტიციით დაფუძნებული კომპანია „გლობალ რისაიქლინგ კო“ ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მეორადი პლასტმასის გადამამუშავებელი საწარმოს აშენებას გეგმავს.

პროექტის გასახორციელებლად კომპანიამ ხობის მუნიციპალიტეტში, აუქციონის ფორმით, პროექტის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში მიწის ნაკვეთი შეიძინა. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 30 მლნ ლარზე მეტია. საწარმოში 500-მდე ადამიანი დასაქმდება.

კომპანია, ასევე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებასა და პოლიმერების გადამუშავებითა და წარმოებით დაკავებული უცხოური კომპანიების მოზიდვას გეგმავს. შედეგად, ადგილზე შეიქმნება ღირებულებათა სრული ჯაჭვი ამოქმედდება და ახალი საექსპორტო პროდუქციის წარმოება დაიწყება.

ბოლო ინფორმაცია:

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა ხობის მუნიციპალიტეტის მერიიდან გვაცნობეს, რომ სარვამარტოდ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 100 ან 100 წელსგადაცილებულ 4 ქალბატონს და 80-მდე მრავალშვილიან დედას (4 და 4-ზე მეტი შვილი 1-დან 18 წლამდე), ჩაერიცხებათ 150-150 ლარი.

2020 წლის 7 მარტს, 15:00 საათზე კულტურის სახლის დიდ დარბაზში, ჩატარდება დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

სოფლებში დასახლების კრებები და მოსახლეობასთან კონსულტაცია დასრულდა

მუნიციპალიტეტის სოფლებში რეგისტრირებულმა მოსახლეობამ ხმათა უმრავლესობით დასახლებისთვის პრიორიტეტულ პროექტებს დაუჭირეს მხარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №2752 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად 784 ათასი ლარი გამოეყო.

ხობის მუნიციპალიტეტის 39 სოფელში ჩატარდა დასახლების კრების სხდომა, ხოლო 17 სოფელში გაიმართა მოსახლეობასთან საჯარო კონსულტაცია.

დასახლების საერთო კრება არის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას.

ხელისუფლების წარმომადგენლები მიმდინარე პროექტებს გაეცნენ

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ლუდუკ (ნუკრი) ხასიამ, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ და მერმა გოჩა ქაჯაიამ ხობის მუნიციპალიტეტის შუა ხორგა-გამოღმა შუა ხორგა-ქარიატის დამაკავშირებელი 7-კილომეტრიანი გზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს, აღნიშნული სამუშაოები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) დაფინანსებით ხორციელდება, გზის მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა და ის უახლოეს მომავალში დასრულდება.

***

ხელისუფლების წარმომადგენლები ასევე ხობში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის პროცესს გაეცნენ და გამწვანების აქციაშიც მიიღეს მონაწილეობა.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრში მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სახელმწიფო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკითა და საკონფერენციო დარბაზით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება.

ხობის მუნიციპალიტეტის პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი მიმდინარეობს. პროექტის შესაბამისად კეთილმოეწყობა საძინებელი და სათამაშო ოთახები. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 12441 ლარს შეადგენს.

საბავშვო ბაღში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ დაათვალიერა.

2013 წლიდან დღემდე, ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში აშენდა ორი და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა შვიდ საბავშვო ბაღს.

სპორტი

დათა ხურცილავას სახელობის თასის გათამაშება

აგვისტოს ომის დროს დაღუპული რეზერვისტის დათა ხურცილავას სახელობის სტადიონზე, ფეხბურთში მისივე სახელობის პირველობის ფინალური შეხვედრები გაიმართა.

ფინალში ხეთის „ხეთამ“ ქალაქ ხობის გუნდი ანგარიშით 3-2 დაამარცხა და მემორიალური ტურნირის გამარჯვებული გახდა. ხოლო, მესამე ადგილი ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდმა დაიკავა.

ტურნირის გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს თასები, სიგელები და საჩუქრები გადაეცათ.

სპორტულ ღონისძიებას დათა ხურცილავას ოჯახის წევრებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

საფეხბურთო პირველობა, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით ჩატარდა.

მუნიციპალიტეტის მერმა მოკრივეებს საქართველოს ჩემპიონობა მიულოცა

ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია ქალაქ ქუთაისში გამართულ საქართველოს პირველობაზე გამარჯვებულებს, პრიზიორებს და მათ მწვრთნელს ედიკა თოდუას შეხვდნენ და ჩემპიონატზე მოპოვებული წარმატება მიულოცეს.

ქუთაისში გამართულ პირველობაზე „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის“ ჭაბუკმა მოკრივეებმა გიორგი ახალაიამ და გიგი ცანავამ პირველი ადგილი დაიკავეს.

ხობელმა მოკრივეებმა ჩემპიონობასთან ერთად, ევროპის პირველობის საგზურიც მოიპოვეს.

ჭაბუკთა შორის ევროპის პირველობა 13-25 ივლისს, თბილისში გაიმართება.

შეხვედრას მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ელისო კვიკვინია ესწრებოდა.

3 მარტი გაზაფხულის დღესასწაულებს გილოცავთ, ძვირფასო ქალებო! 8 მარტი

გაეცანით მკითხველს, ვინ არის თეა გელანტია?

–დავიბადე 1975 წელს, ხობის რაიონის სოფელ მეორე გურიფულში. მამა მელორ გელანტია მელიორატორია. დედა ნელი გოცირიძე-პედაგოგი, უცხო ენის სპეციალისტი.

მჯერა, უკეთეს საქართველოში ვიცხოვრებთ

თეა გელანტია–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე

1992 წელს დავამთავრე ხობის №1 საშუალო სკოლა, შემდეგ სოხუმის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის ფილიალის პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი.

ვმუშაობდი გურიფულის არასრულ საშუალო სკოლაში მასწავლებლად, შემდეგ ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. ტურიზმის წრის ხელმძღვანელად.

მყავს მეუღლე კობა თათარიშვილი–პროფესიით ინჟინერი და ერთადერთი ქალიშვილი თამარ თათარიშვილი, რომელმაც დაამთავრა ქ. თბილისის საქართველოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

გაიხსენეთ სტუდენტობის წლები?

–გმადლობთ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალება მომეცა. სტუდენტობის წლები, ჩემთვის და ჩემი თაობისთვის იყო ბედნიერებაც და ტრაგიკულიც.

არამარტო მე, არამედ მთელმა ჩემმა ოჯახმა გამოვიარეთ ყველაზე მძიმე და სასტიკი დღეები (ეს საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი). იყო დევნა, შევიწროება, ღალატი, რადგან სამშობლოს ტკივილი ჩვენი ოჯახის პირადი ტკივილი იყო. ყოველთვის მჯეროდა და მჯერა, ადრე თუ გვიან საქართველო გაძლიერდება, განმტკიცდება და გამთლიანდება.

არის წუთები, რომელიც წარსულს გაგონებს, გაწუხებს, ვინც სამშობლოს შეეწირა და შემდგომ ტკივილად გექცევა... ტარიელ გელანტია არამარტო ჩემი სისხლი და ხორცი, არამედ სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, ჩემთვის სამაგალითო და მისაბაძი ადამიანი იყო. ახლახან უცხო ქვეყანაში „საქართველოში“ მივაბარეთ მიწას. მე მის ნაკვალევზე გავიზარდე, მამაჩემთან ერთად ჩაბმული ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მერაბი და ზვიადი ჩემთვის ყველაზე ღირსეული ადამიანები იყვნენ. ცხოვრების ეს პერიოდი ჩემთვის მუდამ იქნება დიდი ტკივილიც და სიამაყეც.

საკრებულოს დეპუტატობა თქვენი სურვილი იყო, თუ?

–იყო ხალხის რჩეული, დიდი პასუხიმგებლობაა, ხალხის სიყვარულმა და იმ წარსულმა, საიდანაც მოვდივარ, მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება. ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა იმ ადამიანს, ვინც მხარი დამიჭირა, გვერდით დამიდგა და მომცა საშუალება კეთილი საქმეები მეკეთებინა, უდიდესი მადლიერებით მოვიხსენიო. მინდა გითხრათ, მჯერა დღევანდელი ხელისუფლების და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ყველაფერი კარგად იქნება, ჩვენ უკეთეს საქართველოში ვიცხოვრებთ, რაც ჩვენი ოჯახის ნატვრა და საფიქრალია.

ოცნება, რომელიც დღემდე ვერ აისრულეთ?

–ჩემი ქვეყნის ერთიანობა.

როგორი დიასახლისი ბრძანდებით, ეთანხმებით გამოთქმას–ქალის ადგილი სამზარეულოშია?

–არ ვეთანხმები, რადგან ქართველ ქალს ისტორიულად ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდა ერისა და ქვეყნის წინაშე. გავიხსენოთ ჩვენი ერის სასიქადულო ქალები, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მეტი ქალი პოლიტიკაში, ოღონდ ღირსეულები, ეროვნულები, სამშობლოსთვის თავდადებულნი.

როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

–თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თავისუფალი დრო ძალზე ცოტა მაქვს, მას ოჯახში ვატარებ, ხშირად მიწევს ფიზიკურად შრომაც, ვცდილობ ოჯახს არაფერი მოვაკლო, რადგან ოჯახი ჩემთვის უპირველესია.

ბევრი მეგობარი გყავთ?

–მყავს და ამით ბედნიერი ვარ. მათი თანადგომა და სიყვარული მაძლიერებს. საერთოდ პატივს ვცემ ქალის ღირსებას, თავმდაბლობას, ერთგულებას, ოჯახის ტრადიციებს, განათლებას, ინტელექტს.

ბოროტი, მოშურნე ადამიანი გყოლიათ?

–ბოროტი და მოშურნე თავად არის საცოდავი. მათ ღიმილით ვპასუხობ და თავს იმით ვიმშვიდებ. „ცუდას რად უნდა მტერობა“...

რას ნიშნავს თქვენთვის ერთგულება?

–ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულს.

ეკლესიური ბრძანდებით?

–ღვთის მოშიში ვარ, მწამს ღმერთის.

სულის უკვდავების გჯერათ?

–რა თქმა უნდა.

თქვენი საყვარელი მუსიკა, ლექსი, პოეტი, მწერალი?

–უფრო ხშირად ვუსმენ კლასიკურ მუსიკას. პოეტების მეფე გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა“.

ნატვრისთვალი რომ გქონდეთ, რას ინატრებდით?

–ჩემი შვილის ბედნიერებას, მისი მომავლის და ქვეყნის გაძლიერებას. ყველა ნატვრის ახდენას. რომ თაობებმა ბედნიერად იცხოვრონ.

მალე დედის და ქალთა საერთაშორისო დღე მოდის, მინდა ვისარგებლო შემთხვევით ჩვენს ამაყ დედებს, ჩვენს ლამაზ ქალბატონებს ვუსურვებ ერთგულებას, სიყვარულს და ბედნიერებას, რადგან მწამს, რომ ყველა ქალი იმსახურებს ამას.

ესაუბრა მერი ლაგვილავა.

„დედაენის“ მეგობარი

მოვიდა გაზაფხული. ლამაზდება ბუნება. მარტია! ეს თვე ბუნების აღორძინების დროა და ლამაზია იმიტომაც, რომ იგი დედასთან, ქალთან ასოცირდება, მათი ზეიმების დღეებია.

მზის სხივებს სითბო მოეძალა. დედისმიერი სითბო. ამ თვეში დედის სიყვარული ყველას უფრო უათკეცდება, რადგან დედა მზესავით თბილია და ტკბილი სურნელი მოაქვს... იგი სიკეთის, სიყვარულის, სითბოს, ერთგულების, ზრუნვის, ალერსის, თავგანწირვის მატარებელია. შვილები მუდამ ბედნიერები არიან, სანამ იგი ჰყავთ. შვილებმა პატივისცემა და სიყვარული უნდა შეაგებონ დედას, რადგან ეს მათი ვალია.

ისიც დედაა, ლამაზი, ნიჭიერი გოგონების დედა. ნინო ალანიამ წარმატებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, როგორც ბაკალავრიატი, ასევე მაგისტრატურა და თბილისში მუშაობს თავისი სპეციალობით.

ნათია–სწავლობს საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. არის წარჩინებული სტუდენტი.

დედა ამაყობს მისი გაზრდილებით. მათი ლამაზი მომავლით დარწმუნებული, უფრო სათნო და კეთილი ხდება ხოლმე.

ეს ქალბატონი ხობის №2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი, მეორე კლასის დამრიგებელი, უფროსი მასწავლებელი შორენა სიჭინავა-ალანია გახლავთ. იგი 30 წელია დაუღალავად იღწვის ნორჩების აღზრდისთვის. თავისი პატარების სიყვარულისთვის და მათზე გაწეული ამაგისთვის უფალი ყოველთვის ახალ-ახალ სიხარულს ჩუქნის. ეს სიხარული შვილებისა და თავისი პატარა თუ უკვე დაქალებული და დავაჟკაცებული აღსაზრდელების წარმატებების ხილვა და განვლილი თუ გასავლელი დღეებია. მისთვის სკოლა და ბავშვები მეორე ოჯახი და შვილებია.

წელს შორენა დაწყებითი კლასების მე–7 გამოშვების პატარებს ასწავლის... მან ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი დაამთავრა პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობით. წლებია, არაერთხელ მომისმენია მისი აღსაზრდელებისგან ასეთი თბილი და ლამაზი სიტყვები: „ჩემი მასწავლებელი–დედასავით საყვარელი“, „ჩემი პირველი მასწავლებელი,“ „მან შემაყვარა სკოლა და დედაენა!“ „მიყვარს შორენა მასწავლებელი,“ „ძალიან თბილი და მზრუნველია შორენა მასწავლებელი!..“ ეს სიტყვები პატარების გულით ნათქვამი და მათი გონების ნააზრევია.

ქალბატონი შორენა მუდამ ღიმილიანია. ის ყოველთვის ყველას გაბრწყინებულ თვალებს შეაგებებს. ბავშვებზე დედასავით ზრუნავს. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ პატარებს მანამ არ უშვებს კლასიდან, სანამ მათ მშობლები არ მოაკითხავთ. ის ყოველდღე 29 ბავშვზეა პასუხისმგებელი. მათ უფრთხილდება და მოძღვრავს, ასწავლის და უთითებს როგორები უნდა გაიზარდონ, როგორ ასახელონ და გაახარონ მშობლები, პედაგოგები, სკოლა, სამშობლო.

მასწავლებელი მუდამ მოწესრიგებულია სკოლაში, მათ საკლასო ოთახში შესვლა მუდამ გიხარია. კედლები დაფარულია სხვადასხვა სახის პანოებით. ბავშვები იქ საუკეთესო თვისებებს იძენენ, პანოები კი ავსებს მათ ცნობიერებას. და განა მარტო სკოლაში, სახლში მუდამ წესრიგია და სიმშვიდე სუფევს. საქმეებს ყველგან დაუღალავად აწესრიგებს. არც საკუთარ ბიზნესს აკლია მისი ხელი მეუღლესთან ერთად. იგი იქაც ფუსფუსებს და თანაუგრძნობს იმათ, ვისაც მისი დახმარება სჭრიდება.

ქალბატონო შორენა! „დედაენის“ მეგობარო, კარგო დედავ და მასწავლებელო, გილოცავთ დედისა და ქალის დღესასწაულებს–3 და 8 მარტს, ბედნიერ დღეთა სრბოლას გისურვებთ თქვენს შვილებთან ნინო და ნათიასთან, მეუღლე გოგი ალანიასთან და თქვენს მოსწავლეებთან, კოლეგებთან ერთად.

წარმატებები ყოფილიყოს თქვენი ყოველდღიურობის მეგზური.

ნანი კილასონია

სიყვარულით და მოწიწებით...

მაქვს ბედნიერება, რომ ყოველ დილით თვალი მივადევნო ნოჯიხევის №2 საბავშვო ბაღში თუ №2 საჯარო სკოლაში მიმავალ ბავშვებსა და პედაგოგებს. გულს უხარია სკოლის პირველი გაკვეთილის დაწყებამდე ეზოში გოგო-ბიჭების ჟრიამული. ხოლო საბავშვო ბაღის შენობიდან პატარების სიმღერის ჰანგების გაგონება. ნამდვილად დიდი სიხარულის მომგვრელია დილის ეს პოზიტივი ჩემთვის.

მომსწრე ვარ ამ დაწესებულებებში მოღვაწე პედაგოგების შრომის, ღვაწლის, საქმისადმი ერთგულების. მინდა გამოვხატო უდიდესი პატივისცემა და მადლიერება ყველა პედაგოგის მიმართ. ფასდაუდებელი და გმირობის ტოლფასია მათი ამაგი ჩვენი შვილების აღზრდაში.

დიდი სიყვარულით და მოწიწებით მინდა მივულოცო ამ სკოლაში და ბაღში მომუშავე ქალბატონებს გაზაფხულის ლამაზი დღესასწაულები. დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს და წარმატებებს ვუსურვებ თითოეულ მათგანს პირად და სამსახურებრივ საქმიანობაში.

მასწავლებელს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში უდიდესი კვალის დატოვება შეუძლია. ყოველი დღე გაზაფხულივით ლამაზი და თბილი ყოფილიყოს თქვენთვის. ღმერთმა მოგცეთ მოთმინება და ზღვა ენერგია.

ჯულიეტა ლატარია.

3 მარტი გაზაფხულის დღესასწაულებს გილოცავთ, ძვირფასო ქალებო! 8 მარტი

ზამთარს რამდენიმე დღე დარჩა, ძალაგამოცლილი უსახურად ითვლის საათებს. ხეხილს კვირტები დაებერა, ყოჩივარდები და იები ნაზად იწონებენ თავს, რაც იმის მანიშ-

ნებელია, რომ მოდის წლის ულამაზესი დრო, გაზაფხულის პირველი თვე–მარტი, ქალთა დღესასწაულები...

დედის დღე–ულამაზესი, სათნო, სათაყვანებელი ადამიანების განსაკუთრებულად აღნიშვნის დღე. დრო, როცა სურვილი გიჩნდება უცხოსაც კი მოეფერო და მიულოცო, რადგან კაცობრიობას დედაზე კარგი სიტყვა არ შეუქმნია, ამ დღეს ყველაზე ლამაზი სიტყვა უმშვენიერეს არსებებს ეძღვნებოდა.

ჩვენს ყოველდღიურობას ალამაზებენ ქალბატონები, რომლებიც დღენიადაგ ზრუნავენ სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ სამედიცინო კლინიკა „ევექსის“ დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ლაბორანტი ნონა ნაჭყებია. როგორც თავად ამბობს, პროფესიის არჩევა არ გასჭირვებია, მისი არჩევანი ნეტრახსენებული მშობლების მერი და გურამი ნაჭყებიების სურვილს დაემთხვა და ხობის №2 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1982 წელი) სწავლა თბილისის სამედიცინო სასწავლებელში განაგრძო, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და რაიონულ საავადმყოფოს ახალბედა ლაბორანტად მოევლინა.

მას შემდეგ 3 ათეულ წელზე მეტი გავიდა, მისი ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლები... ადამიანების მიმართ კეთილი განწყობით, სიყვარულით, პროფესიონალიზმით, ჰუმანურობით პაციენტთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

უდაო ჭეშმარიტებაა, რომ ლაბორატორიული კვლევის სიზუსტეზეა დამოკიდებული პაციენტის დიაგნოზის დადგენა. ამიტომაც მისი პროფესია დიდ ცოდნასთან ერთად დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

...მარცვალ-მარცვალ აიკრიფა მისი ცხოვრებისეული „ისტორიები“, რომელმაც ყოველდღიურობა უფრო და უფრო გაალამაზა.

გასული საუკუნის ხობელთა ერთ-ერთი ლამაზი ოჯახის–თამარ და კოტე გოგენიების რძლობა დიდი პასუხისმგებლობაც იყო. მერაბ გოგენიასთან სიყვარულით შექმნილ ოჯახში ურთიერთპატივისცემამ, ერთგულებამ, პატიოსნებამ უსაგზლა მომავალი ცხოვრების გზაზე.

...ვაჟების დედობა ადვილი არ არის, მით უფრო, სპორტსმენების. ვერ ვიტყვით რომელს უფრო გაუმართლა-შვილებს ასეთი დედის ყოლის, თუ ქალბატონ ნონას, გიორგი და კოტე გოგენიების დედობის გამო. ვაჟები ბაბუის კვალს გაჰყვნენ, წარმატებული ფეხბურთელები არიან. ხობის „კოლხეთის“ ღირსებას იცავენ.

ამასწინათ ტყიბულში ფეხბურთის მატჩის დროს მომხდარი ფაქტის გამო „კოლხეთის“ კაპიტანი გიორგი გოგენია ოლიმპიური კომიტეტის მიერ იქნა დასაჩუქრებული. (გიორგიმ სტადიონზე მეტოქე გუნდის ფეხბურთელი სიკვდილს გადაარჩინა).

ნონასთან საუბარი სასიამოვნოა, ლამაზთვალება ქალბატონის სახეზე იკითხება გულკეთილობა, გულწრფელობა, უფლისადმი მადლიერების გრძნობა თავისი ოჯახის, შვილების გამო, ამიტომაც ინარჩუნებს კიდეც ოჯახის ტრადიციას, სილამაზეს, სილაღეს, სიყვარული ავსებს მის ყოველდღიურობას. იცის სხვისი შრომისა და ამაგის დაფასება, ხარობს ლამაზი და წესიერი მონაგარით, ვაჟების დაოჯახების სურვილით.

ლაბორატორიაში სასიამოვნო გარემოა, მიუხედავად პაციენტთა სიმრავლისა, ზოგჯერ სამსახურებრივი პრობლემისა, აქ მუდამ იმედით გავსებენ. ექიმი ლაბორანტები რუსიკო კეკელია და ნანა იოსავა, ლაბორანტი ლალი გერგაია. მათ სამუშაო მაგიდას გაზაფხულის სურნელი ავსებს. ეს მოლოცვა კი მადლიერთ პაციენტთა სურვილით დაიწერა. თითოეულ მათგანს საუკეთესო დედებს, თბილ და კეთილსინდისიერ პროფესიონალებს ვულოცავ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს. კვლავაც მადლიერ პაციენტთა სიმრავლეს ვუსურვებ.

მერი ლაგვილავა.

პაციენტთა სიყვარულით...

მრავალჟამიერ!

წელიწადის უმშვენიერესი დრო მობრძანდება სილამაზით, სინაზითა და ახალი სიცოცხლით...

გაზაფხულის პირველი თვე ქალთან ასოცირდება... ის მართლაც ქალბატონებივით მშვენიერია. სწორედ, მარტი აფასებს ყველაზე მეტად ქალბატონების როლს ჩვენს ცხოვრებაში...

საქართველოში ქალის როლი ყოველთვის გამორჩეული იყო. 21-ე საუკუნის ქალი მამაკაცის გვერდით დგას თანასწორუფლებიანი და თავისი ნაზი და სათუთი ხელებით აპურებს ქვეყანას.

სკოლამდელი დაწესებულებები სულაც მასწავლებელ ქალთა მხრებზე დგას... ქალებს არ აკლიათ ნიჭი, განათლება, უნარი, შესაძლებლობა, პერსპექტივა...

დაე, მუდამ ასე ყოფილიყოს!

მარტი ქალბატონების თვეა... ამ თვეს ვზეიმობთ დედის და ქალთა დღეს. ამ დღეებში კიდევ ერთხელ ვუდასტურებთ ქალბატონებს ჩვენს უზომო სიყვარულს და პატივისცემას. ვუძღვნით სადიდებელს მათი სათნოების, გამძლეობის, განსწავლულობის, სიბრძნისა და გარჯილობის გამო.

გილოცავთ ქალბატონებო ამ ლამაზ დღესასწაულებს!

განსაკუთრებით მინდა მივულოცო სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების საამაყო ქალბატონებს, რომელთა ენერგიაზე ტრიალებს სკოლამდელი დაწესებულებები.

სწორედ ეს ენერგია გქონოდეთ ულევი მრავალჟამიერ!

გისურვებთ, რომ იყოთ წარმატებულები თქვენს საქმიანობაში, ბედნიერი დედები, მეუღლეები, ბებიები, შვილები...

იყავით მომაჯადოებელნი და მუდამ სანატრელნი, როგორც გაზაფხული!

ეკა ხასია,
ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი.

გილოცავთ!

სამადლობელი

ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა დაბადებიდანვე იწყება, თუმცაღა ბავშვის ექიმთან ურთიერთობა საკმაოდ სპეციფიკურია და ხშირ შემთხვევაში პატარას შიშის ფაქტორი აბრკოლებს. ჩემს შვილს მისი და ჩემი საყვარელი ექიმ-პედიატრის–სვეტა გვათუას მაღალი პროფესიონალიზმის, ადამიანური თვისებების, მისგან მიღებული სითბოსა და სიყვარულის წყალობით ექიმთან ვიზიტი არ უჭირს. დღეს ბარბარე ჯანმრთელი რომ მყავს, სწორედ სვეტა ექიმის დამსახურებითაა.

პედიატრთან დაძლეული შიშის ბარიერის შემდეგ დადგა სტომატოლოგთან ვიზიტის დროც. ჩარევა აუცილებელი იყო, თუმცა პატარას იმდენად ეშინოდა, რომ ვიზიტზე თავს ვიკავებდით.

საბოლოოდ „გავბედეთ“ და სტომატოლოგიურ კლინიკა DENTAL LAND–ს ვესტუმრეთ, სადაც საოცრად სასიამოვნო და მოწესრიგებული გარემო დაგვხვდა. უაღრესად კვალიფიცურმა სტომატოლოგმა, მოზრდილთა და ბავშვთა თერაპევტმა-ლანდა ჯიქიამ თბილად მიგვიღო.

ლანდა ექიმის სწორმა პროფესიულმა მიდგომამ, თბილმა დამოკიდებულებამ და მოთმინებამ, ბარბარეს შიში დააძლევინა. მისმა ერთგვარმა „მოსამზადებელმა“ პროცედურამ პატარას ყოველგვარი სტრესი და დაძაბულობა მოუხსნა. ექიმმა და პაციენტმა არსებული პრობლემის მოგვარება მარტივად შეძლეს. ბოლოს კი „მეგობრებადაც“ დარჩნენ.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი შვილის ექიმებს, თავიანთი საქმის ერთგულ, პროფესიონალ და თბილ ქალბატონებს–სვეტლანა გვათუასა და ლანდა ჯიქიას. მინდა მივულოცო გაზაფხულის დღესასწაულები და პროფესიული წარმატებები, ჯანმრთელობა, ცხოვრებისეული გაზაფხული ვუსურვო.

ჯულიეტა ლატარია.

დიდი აკაკი ამბობდა: „ქალი ბურჯი და ქვაკუთხედია, როგორც კერა ოჯახის, ისე საზოგადოებისაც, ნეტავი იმ ერს, ვისაც კარგი ქალები ჰყავსო“. ოჯახის ბურჯი დედა, თვითონ კეთილი, გონიერი, მშრომელი, სტუმართმოყვარე, უეჭველად სიკეთისა და წესიერებისკენ წარმართავს თავისი შვილის გზასა და კვალს.

„არ არსებობს ქვეყნად უფრო მძიმე ტვირთი, ვიდრე კარგი დედის ტვირთია“. მათ ეკუთვნით გაზაფხულის ეს პირველი დღესასწაული. ამ დღეს ყველა ქალი ხარობს, მიუხედავად ასაკისა, ცხრამეტი წლის მეოცნებე ქალიშვილია თუ მეხუთეკლასელი გოგონა.

არიან ქალბატონები, რომელთაც ახალი თაობა აღიქვამს, როგორც მისაბაძსა და სამაგალითოს.

მოწიწებით მინდა გავიხსენო რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, სოფლის მოამაგე, ახალგაზრდობაზე მზრუნველი აწგანსვენებული ქალბატონი სულიკო დარჯანია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ბურჯად ედგა სათავეში ჭალადიდის საჯარო სკოლას ღვაწლმოსილ პედაგოგებთან ერთად. მათ დამრიგებლური ტონით ნათქვამი სიტყვები თაობებს საგზლად მიჰყვება დღესაც.

გაზაფხულის ეს ლამაზი დღესასწაული მინდა მივულოცო ჩვენი სკოლის ამაგდარ პედაგოგებს, მათ არაერთი თაობა დაუკვალიანებიათ, მუხლჩაუხრელად იღწვიან თავიანთი ცოდნა გადასცენ მოსწავლეებს. დაე, მრავალგზის მოსალოცი წარმატებები გქონოდეთ ბავშვებზე ზრუნვაში მყოფ პედაგოგებს, საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლებს, თქვენ ხომ ცოდნის დიდ ტაძარში დიდი რუდუნებით იღწვით და იმკით დიდ სიყვარულს.

სოფელში გვყავს თორმეტი მრავალშვილიანი დედა. საბედნიეროდ, საქართველოში ყველა დროს იყვნენ ადამიანები, რომლებიც ცხოვრების არსს მრავალშვილიანობაში ხედავდნენ. ბავშვები ხომ ქვეყნის მომავალი, მანათობელი შუქურა და ყველაზე დიდი სიხარულია. აფერუმ, მათ ქალობას! მუდამ ბედნიერი დედები ყოფილიყვნენ.

სოფელში ასევე გვყავს ხალხის ჯანმრთელობაზე მზრუნველი ქალბატონი ეთერი დარჯანია. ამ მშვენიერი ქალბატონის ენერგია მუდამ ხალხის სასიკეთოდ იხარჯება. მისი თბილი სიტყვაც კი ამშვიდებს, კურნავს და რწმენით ავსებს ავადმყოფს. ის ხომ გაზაფხულზე დაიბადა. 12 მარტს მისთვის უკვე ოთხმოცდაორჯერ აიფურცლება კალენდარზე. ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე მას.

ყველას გილოცავთ გაზაფხულის ამ ლამაზ დღესასწაულს. აგსრულებოდეთ თქვენი ცხოვრების ყოველგვარი ოცნებები.

ღვთის მადლი და ლოცვა-კურთხევა არ მოკლებოდეს თქვენს სანუკვარ ოჯახებს.

გულნაზი ბერაია-ჯიშკარიანი.
სოფელი ჭალადიდი

ახალი იდეები, ახალი ინიციატივები, ახალი შესაძლებლობები ჩვენი მომავალია

ხელმძღვანელისგან:

ჩვენ გვინდა ცვლილებები, აქტიური და განათლებული საზოგადოება, რომლის წევრებიც ერთობლივი ძალისხმევით შექმნიან მხარდამჭერ გარემოს. ამ მიზნის ქვეშ გავერთიანდით ქალები და სულ რამდენიმე წლის წინ შევქმენით საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ხობი news“.

დაარსების დღიდან ვცდილობთ როგორც მოხალისეობრივად, ისე სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული ფინანსების საშუალებით, სამოქალაქო საზოგადოების თანადგომას, გააქტიურებასა და გაძლიერებას.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მცირედი წვლილით, რადგან უფრო მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობელმა იცის, როგორ იურთიერთობოს შვილთან. (ეს ჩვენი პირველი პროექტია). ჩვენი დახმარებით მცირე და საშუალო მეწარმეები გაეცნენ ასოცირების ხელშეკრულებას და მის DSFTA ნაწილს, რაც ხელშემწყობი პირობაა მათთვის, ვისაც სურს სწორად განავითაროს თავიანთი ბიზნესი და ნაწარმი გაიტანონ საზღვრებს გარეთ. მუნიციპალიტეტის მასშტაბით შევძელით და ბიზნესს დავანახეთ ახალგაზრდების საჭიროებები. შედეგად კი მივიღეთ მათი მხრიდან გამოხატული ახალგაზრდების თანადგომა, მათი იდეების დაფინანსება, რაც ერთგვარი სტიმულია ახალგაზრდა თაობისთვის.

მოხალისეობრივად, საკუთარი სახსრებით, შევქმენით სახელობო ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანიც ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობაა. ჯგუფი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა გამოფენაში.

ჩვენი პრიორიტეტი ახალგაზრდებია. ვასწავლით მოზარდებს ეკოლოგიაზე ზრუნვას, კრეატიულ აზროვნებას...თანადგომას...

„მეტი ნდობა სიკეთის გასაკეთებლად“

ხობი NEWS-ის ახალი პროექტი

ხობის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან ერთად „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSR გ) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ (2017-2020) ფარგლებში მიმდინარე პროექტი ხობი news”-მა დაიწყო ახალი პროექტი „მეტი ნდობა სიკეთის გასაკეთებლად“, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესებას, გააძლიეროს, გაზარდოს მათი ანგარიშვალდებულება მოქალაქეების მიმართ და განამტკიცოს კავშირები სხვა აქტორებთან. გრანტი სამთვიანია და ჯამური ღირებულებაა 4 454.00 ლარი. დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი (KAS).

გრანტი, რომელიც ჩვენმა ორგანიზაციამ მიიღო მნიშვნელოვანი როგორც ჩვენთვის, ასევე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის, რადგან ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას მოვიპოვოთ საზოგადოების ნდობა და მოზარდებს მივცეთ საკუთარი ინიციატივების გამოვლენის საშუალება.

პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში „უსარგებლოდან სანახობამდე“ ხობში მოქმედ ბიზნეს ოპერატორებთან თანამშრომლობით გამოვავლინეთ გამარჯვებული იდეა, ხოლო დანარჩენ 6 ფინალისიტ იდეას მიეცა განხორციელების საშუალება.

კონკურსში დაფინანსებული იდეებია:

1. გამარჯვებული იდეა– ხობის პირველი საჯარო სკოლის ახალგაზრდული ჯგუფის „ეკობავშვების“ იდეა– სკოლის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა, განახლება ქვებისა და მეორადი ნივთების გამოყენებით, მოსაცდელის გაკეთება. (500 ლარი) დამფინანსებელი ა/ო „ხობი **news**“.

2. საჯიჯაოს ახალგაზრდული ჯგუფის „აისის“ იდეა–სკოლის ეზოში მეორადი ნივთების გამოყენებით სკვერის მოწყობა. (300 ლარი)–დამფინანსებელი **თამაზ ბასილაია.**

3. ქარიატის ახალგაზრდული ჯგუფის „ეკოქარის“ იდეა–მეორადი ნივთების გამოყენებით სკოლის ინტერიერის გალამაზება და საახალწლოდ მორთვა. (250 ლარი)–დამფინანსებელი **თამაზ ბასილაია.**

4. ზემო ქვალონის ახალგაზრდული ჯგუფის იდეა–„ ჩანაფიქრის ანარეკლი“. მეორადი მასალისგან ტურისტებისთვის მიმზიდველი სუვენირების შექმნა–(300 ლარი)– დამფინანსებელი შ.პ.ს „მკურნალი“ **ნათია სალაყაია**.

5. ხეთის ახალგაზრდული ჯგუფის „ტყის მცველების“ იდეა–სკოლის 200 კვმ ტერიტორიის კეთილმოწყობა მეორადი ნივთების გამოყენებით. (500 ლარი)–დამფინანსებელი **თამაზ ბასილაია.**

6. ხიბულის ახალგაზრდული იდეა–ახალგაზრდული ცენტრის მოწყობა მეორადი ნივთების გამოყენებით. (350 ლარი)–დამფინანსებელი თამაზ ბასილაია. იდეას ბევრი კეთილისმყოფელი გამოეხმაურა, მათ შორის TBS-ი ბანკის ხობის ფილიალის ხელმძღვანელი, ბატონი **ოთარ წივწივაძე**, რომელიც ახალგაზრდულ ცენტრს კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფას დაპირდა.

7.ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის „ეკოკლუბის“ იდეა ცენტრალურ პარკში ქუჩის ბიბლოთეკის მოწყობა–(500 ლარი). დამფინანსებელი „ხობი-2005“ **გიორგი დოლბაია.**

ამ პროექტმა დიდი მოწონება დაიმსახურა საზოგადოებაში, ასევე თანადგომა გამოგვიცხადა გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქციამ და დაგვპირდა, რომ პროექტის განხორციელების შემდეგ ქუჩის ბიბლოთეკას გაზეთებით უზრუნველყოფდა.

მიმდინარე პროექტმა მოგვცა საშუალება საზოგადოებაში მოგვეპოვებინა ნდობა და ყველას ერთად ბევრი კარგი საქმე გვეკეთებინა ახალგაზრდების სასიკეთოდ.

ორგანიზაცია „ხობი **news**“ მადლობას უხდის ბიზნესს თანადგომისთვის და ახალგაზრდების იდეის დაფინანსებისთვის.

წინ დიდი გამოწვევები გველოდება, რომელსაც ზურგს უმაგრებს ჩვენი აქტიური მუშაობა, მიზანდასახულობა, განგარიშვალდებულება და ურთიერთთანამშრომლობა.

ახალი იდეები, ახალი ინიციატივები, ახალი შესაძლებლობები ჩვენი მომავალია.

ლელა ალანია

მერმა დაზიანებული სახლები დაათვალიერა

ხობის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა მოქმედებს.

აღნიშნული პროგრამა სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სახლები საჭიროებს გადახურვას ან სახურავის შეკეთებას, მერია სამშენებლო მასალებით ეხმარება.

ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ და „სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისიის“ წევრები ჭალადიდის და პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებთა ოჯახებში იმყოფებოდნენ და ავარიული სახლები დაათვალიერეს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში ამ პროგრამისთვის, სახურავის გადასახური მასალის შესაძენად 50 000 ლარია გამოყოფილი.

მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, მიწის რეგისტრაციის საკითხებთან დაკავშირებით, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებს, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ პირებს, 2020 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებები გააცნეს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, სააგენტოს თანამშრომლებმა ვრცლად ისაუბრეს მიწის რეგისტრაციის პროცესებთან დაკავშირებულ პრობლემებზე და მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში დადგენილი რეგისტრაციის გამარტივებული წესზე.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია, საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გაზაფხული დადგაო...

ავტორისგან:

ამ სტატიას არა აქვს ზუსტი მეცნიერული ნაშრომის პრეტენზია, ერთი კია, ის წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებელში შეძენილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზს. ძირითადი ყურადღება მცენარეთა მოვლის საკითხებში არსებული დაშტამპული, ზოგჯერ მცდარი მოსაზრებების პრაქტიკული არგუმენტებით გაბათილებაზე გამახვილდება. არავითარი ბროშურები და სპეციალური ლიტერატურა, ვეცდები ისეთ საკითხებზე ვისაუბროთ, რაზეც სულ ან თითქმის არაფერი დაწერილა ან ზეპირსიტყვიერად გადმოეცა თაობიდან თაობას. ზოგიერთი მოსაზრება შეიძლება სადაო, ან მიუღებელიც კი აღმოჩნდეს თქვენთვის. ვფიქრობ, განსხვავებული აზრი სტატიებს უფრო საინტერესოს გახდის...

გინდა სიცოცხლე? აცოცხლე მცენარე!

მიუხედავად ადრე გაზაფხულის სუსხისა, დროა საგაზაფხულო სამუშაოებს შევუდგეთ. მოსაზრება, რომ ახალი სეზონისთვის მზადება მაინცდამაინც გაზაფხულზე უნდა დავიწყოთ, მცდარია. სასურველია ფოთოლმცვენ მცენარეებში საგაზაფხულო სამუშაოები და კერძოდ, მათი გასხვლა-ფორმირება ფოთლების სრული ჩამოცვენის შემდეგ დავიწყოთ. ეს ხელს შეუწყობს „ჭრილობების“ დროულად მოშუშებას და გაზაფხულისთვის მომაგრებულად შეხვედრას. მარადმწვანე მცენარეებში ეს სამუშაოები ტარდება მათი პასიური კვების რეჟიმში გადასვლის შემდეგ. ტოტის მერქნიდან ჩამოჭრისას დააკვირდით რგოლს მათ შორის, ის თვითონ გეუბნებათ სად უნდა გადაიჭრას, დაუტოვეთ ეს რგოლი მერქანს და გადაჭერით სპეციალური, ან ძალიან წვრილი ხერხით, რგოლის ძირში. ტოტის რგოლიდან ან რგოლის დაშორებით მოჭრა ორივე შემთხვევაში მერქნის ამ ადგილზე ლპობას იწვევს და ხეხილი ადრე ხმება.

შეგახსენებთ, მარადმწვანე მცენარეებში მთელი წლის განმავლობაში დაახლოებით 10-15% ფოთლების და წიწვების ჩამოცვენა და მონაცვლეობა ხდება, რაც სავსებით ნორმალურია. თუ უფრო ინტენსიურია, ეს უკვე დაავადებაზე ან საკვების ცალკეული კომპონენტის ან უწყლობაზე მიუთითებს. ასევე ფოთოლმცვენებში ანომალიაა ფოთლების ცვენა შემოდგომამდე.

ერთადერთი მცენარე, რომელიც გასხვლას არ საჭიროებს, ჩემი აზრით, ხურმაა. რაიონში გავრცელებულ კულტურულ მცენარეებს შორის, იგი ასე ვთქვათ, ყველაზე ჭკვიანი და ბუნებას იდეალურად შეგუებულ მცენარედ მიმაჩნია. იგი თავისით იშორებს ზედმეტ ტოტებს, შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, არ ჭიანდება, იშვიათად ლპება, ხე და ნაყოფი მდგრადია ქარის მიმართ (გინახავთ ოდესმე ქარისგან წაქცეული ხურმის ხე?), იმიტომ, რომ გააჩნია ძალიან ძლიერი ფესვთა სისტემა. კარგად უძლებს გვალვას, ყინვას და ჭარბტენიანობას, გვიან შემოდგომამდე ინარჩუნებს ნაყოფს, მოკრეფილი ნაყოფი ინახება დიდხანს თუ მას დავაწყობთ ყუნწით ქვევით.

ნაყოფისგან მზადდება თითქმის ყოველგვარი პროდუქტი. ტყუილად კი არ უთქვამთ „ერთი ხურმა ორი კვერცხის ტოლფასიაო“. ერთი ნაკლი–ხის შტამბი დიდხანს ინარჩუნებს დაბერებულ და გამხმარ ქერქს, ესეც, ალბათ, დამცავი მექანიზმია, მაგრამ მასში კარგად იზამთრებენ პარაზიტები, ამიტომ, ჩემი აზრით, შეთეთრებამდე სასურველია ეს გამხმარი მასა მოვაშოროთ.

თუ გადაწყვეტთ თხილის ამოძირკვას (რისი კატეგორიული წინააღმდეგიც ვარ, გაიხსენეთ დაფნა), ან გინდათ გააშენოთ ახალი ხეხილის ბაღი, გირჩევთ ხურმას, დარგეთ იგი 5X5 მეტრის ინტერვალით.

გასხვლისას გაითვალისწინეთ, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, კოლხეთის დაბლობზე რადიაციის ფონი შედარებით მაღალია, ამიტომ პირველ რიგში მოაშორეთ ან მაქსიმუმამდე შეამცირეთ ქვედა ტოტები (ეს განსაკუთრებით ეხება ვაზს), მით უმეტეს ამ ადგილებში მზის სხივები ნაკლებად აღწევს.

გასხვლისგან განსხვავებით–ნაკელის, ორგანული, ქიმიური და ჰუმინური სასუქების შეტანა ხეხილში სასურველია ადრე გაზაფხულზე, ვინაიდან ჩვენში ჭარბი ატმოსფერული ნალექების გამო ისინი ნაადევად ჩაირეცხება. უფრო სასარგებლოდ მიმაჩნია მათი შეტანა დაბარვის შემდეგ. საკვები მცენარეს უნდა მიეყაროს არა მხოლოდ ხის ძირზე, არამედ იმ ნაწილზე, სანამდეც ხის ვარჯია (ტოტები) გაშლილი, ვინაიდან ხის ფესვები ამ ფართობამდე ვრცელდება. შემობარვის დროს მაქსიმალურად ეცადეთ არ დაუზიანოთ ფესვები და კაპილარები, თუ ისინი მიწის ზედაპირთან ახლოა, უნდა დავამუშაოთ ნიადაგი მსუბუქად–თოხით ან ფიწალით, გაითვალისწინეთ ფესვებს ტოტების მსგავსად არ სჭირდება შეკვეცა, წინააღმდეგ შემთხვევაში უმჯობესია საერთოდ არ დაამუშოათ ნიადაგი.

რატომ არის ფესვები ნიადაგის ზედაპირთან ახლოს?–ჩვენს რაიონში ძირთადად წითელმიწა და ყვითელმიწა ლატერიტული ნიადაგებია, რომელიც გამორჩევა სიმკვრივით და უჭირს ფესვების ღრმად გადგმა, ამაში მცენარეს უნდა დავეხმაროთ იმით, რომ ახალ ნერგებს სანამ დავრგავთ მის სიახლოვეს მიწა ღრმად გადავბაროთ, ხოლო გადაბარვამდე შესაძლებლობისამებრ დავყაროთ ჭალის მიწა, სილა ან ტორფი. დარგვისას ორმო უნდა ამოითხაროს 40კუბ სანტიმეტრზე და არა ერთი ბარის პირზე. დარგვისას ფესვები შევკვეცოთ ტოტების შემოჭრის პირდაპირპროპორციულად. ორმოს ფსკერზე მოაყარეთ ნაკელში ან ორგანულ სასუქში არეული ფხვიერი და ნოყიერი მიწა, მაგრად დატკეპნილ მიწას მივცეთ თეფშის ფორმა და თანდათანობით მივასხუროთ არანაკლებ 30-40 ლიტრი წყალი, რათა ნიადაგში დარჩენილი ფორები კარგად შეივსოს და ფესვები არ გახმეს. წყლის შეშრობის შემდეგ დამატებით მივაყაროთ მიწა ნამყენიდან 5–10 სანტიმეტრამდე, მიწას მივცეთ ამოყირავებული თეფშის ფორმა.

ქიმიური სასუქების არამიზნობრივი და ჭარბი რაოდენობით შეტანის შედეგად, ჩვენს ნიადაგებში მაღალია PH-ის (მჟავიანობის) დონე, რის გასანეიტრალებლად ახდენენ ნიადაგის მოკირიანებას, რაც დიდ თანხებთან და შრომასთან არის დაკავშირებული. ყველაფერ ამას ცვლის კალციუმის ხსნარი (1 ლიტრი იხსნება 200 ლიტრ წყალში, 1 ჰას კი ჭირდება 2-3 ლიტრი).

ჩვენში საყოფაცხოვრებო ორგანული ნარჩენები უმეტესად სანაგვეში იყრება, არადა მათი ნიადაგში ჩამარხვა და წყლის პერიოდული მისხურება 2-3 დღეში მოგვცემს მცენარის საუკეთესო საკვებს.

გაითვალისწინეთ აგრეთვე, თუ გვიან არ მოხერხდა ნეშომპალის (ფოთლების, ტოტების) შეგროვება, ადრე გაზაფხულზე შეგროვილი მასა, თუ ბევრია ტოტები და ფოთლების ნაწილი დაწვით და ნაცარი მცირე რაოდენობით შეურიეთ ნაკელს ან ორგანულ სასუქს, ან მიაყარეთ ცალკე მცირე რაოდენობით. იმიტომ, რომ ნაცარში დიდი რაოდენობითაა კალიუმი, რაც მცენარეს ჭირდება მცირე რაოდენობით, თანაც კალიუმი მცენარეს ჭირდება სეზონის მეორე ნახევარში (ივლისი-აგვისტო) ნაყოფის გამაგრებისა და სიდამპლისაგან დასაცავად. ნაცარი გაცერით, შეინახეთ და მიაყარეთ მცენარეს ივნისის თვეში, მეორე ნაწილი ფოთლებისა ჩავმარხოთ მიწაში, რაც ნიადაგში არსებული სიმჟავის, წყლის, ჭიებისა და სხვა ქვეწარმავლების ურთიერთმოქმედების შედეგად 3-4 თვეში მცენარის საუკეთესო საკვებად გადაიქცევა. ასევე საუკეთესოა თხრილებისა და სადრენაჟო არხების ამონაწმენდი მასა, ტლაპო, რასაც უმეტეს შემთხვევაში არ ვიყენებთ და ვყრით. არადა იგი შესანიშნავი ორგანული სასუქია.

საუბარი მცენარეთა შეწამლვაზე იმდენად საშური არ არის, ვიდრე ზემოთ მოცემული, ამაზე ვრცლად მოგვიანებით ვისაუბრებთ. მაგრამ არის ზოგიერთი დაავადება და მავნებელთა ნაწილი, რომლებიც ყველაზე ადრე იღვიძებენ. მაგალითად ატმისა და სხვა კურკოვნების ხუჭუჭა, თხილის კვირტის ტკიპა, რომელთა წინააღმდეგ პრეპარატები უნდა გამოვიყენოთ კვირტის დაბერვისთანავე. ამავე მიზეზით საშურია მცენარის მერქნის შეთეთრება, რომელიც უნდა შესრულდეს მავნებლების მიწიდან და ხის ქერქიდან ტოტებზე და ფოთლებზე გადასვლამდე. დაგვიანებით შეთეთრება ეფექტს 50%-ით ამცირებს. მცდარია აზრი, რომ თუ მცენარის მერქანს ხავსი და ფითრი აქვს–შეთეთრება არ ჭირდება. ხის ქერქში მათ გარდა ბუდობს თვალით თითქმის უხილავი ან მიკროსკოპული ზომის–მავნე სოკოები, ლიპი, მღიერები, ლიქენები და სხვა; მათ წინააღმდეგ კირზე უფრო ეფექტურია რკინის ძაღა, რომელიც კირის გარდა შეიცავს რკინის ჟანგს, გოგირდს, კალიუმს, კალციუმს, სპეციალურ მიმწებებელ თიხას, რის წყალობითაც წამალი მთელი წლის განმავლობაში არ ჩამოირეცხება. მისი შემცველობის გამო მას გადაკრავს ოდნავ მოყვითალო ფერი და თუ გინდათ, რომ მცენარე დეკორატიულად და ესთეტიკურად უფრო ლამაზად გამოიყურებოდეს, გაურიეთ მას მესამედი წილი ჩამქრალი კირი. ამასთან ძაღა თავისი შემცველობის გამო მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებს სამკურნალო თვისებებს. ასევე მისი გაფილტვრის შემდეგ დარჩენილი მასა არის საუკეთესო სასუქი, გაურიეთ იგი მცენარის სხვა საკვებს და შეიტანეთ მცენარეებში.

მცენარეების სოკოვანი, ბაქტერიული, ვირუსული დაავადება და პარაზიტების ნამოქმედარი სასუქების ცალკეული კომპონენტების, მიკროელემენტების ნაკლებობა ფოთლებზე აისახება, რისი ცოდნაც არაა მარტივი, მითუმეტეს ამ დაავადებების გამომწვევები ხშირ შემთხვევაში თვალით უხილავია და მათი გამოვლენა მხოლოდ ელექტრო მიკროსკოპითაა შესაძლებელი.

რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი მცენარის ზრდა-განვითარებისთვის:

1) წყალი,

2) ნიადგი (საკვები),

3) მზე (ჟანგბადი). რატომ პირველად წყალი? იმიტომ რომ წყალი არის ფენომენი და შეუცვლელი, ყოველ შემთხვევაში დღემდე ასეა. ნიადაგისა და მზის გარეშე მცენარის ზრდა-განვითარება სხვა ალტერნატივითაც შესაძლებელია. მაგალითად საკვებ სოკოებში.

მცენარისთვის წყლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ატმოსფერული ნალექი–წვიმა, თოვლი, ნამი, თრთვილი. ამათი უნიკალურობა იმაშია, რომ კონდენსირებულია (გამოხდილია), ყოველგვარი ნაერთებისგან, მავნე ბაქტერიებისგან თავისუფალი, იონიზირებული–მზის სხივების ენერგიით გაჯერებული. ისინი ასაზრდოებენ, ატენიანებენ, რეცხავენ (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) რადიაციული მტვრისგან. ერთადერთი ნაკლია, რომ წვიმა ყოველთვის არ მოდის საჭიროების დროს, მორწყვა კი ყოველთვის შეიძლება, მიუხედავად ამისა, უპირატესობა აშკარაა.

მორწყვა და პრეპარატების გახსნა უმჯობესია წყაროს, მიწისქვეშა და არტეზული ჭის წყლით, თუ ამ შესაძლებლობას მოკლებული ვართ, გამოვიყენოთ მდინარის, ონკანის, გუბის წყალი, რატომ ბოლოს გუბის? დაგუბებული წყალი მყაყეა და ათასნაირი მავნე ბაქტერიებითაა გაჯერებული, რატომ ბოლოსწინ ონკანის წყალი?–მიუხედავად იმისა, რომ იგი გაფილტრულია, სამაგიეროდ მასში გარეულია სოდა და ქლორი, რაც მცენარეს თითქმის ან უმნიშვნელო რაოდენობით ჭირდება. ამიტომ შესაძლებლობისამებრ სანამ გამოიყენებთ 20-30 წუთით დააგუბეთ ეს წყალი და შემდეგ გამოიყენეთ, ასევე მოიქეცით აუცილებლად თევზის აუზის ონკანის წყლით შევსების დროსაც.

ინტენსიური (მასიური და ხანგრძლივი) მორწყვა საჭიროა ნიადაგის 20-30 სანტიმეტრამდე, ხოლო ექსტენსიური (მსუბუქი) 10 სანტიმეტრამდე ნიადაგის გამოშრობის შემთხვევაში. არასაკმარისია პრაქტიკა–მორწყვა მხოლოდ ნიადაგზე, არადა აუცილებელია უშუალოდ მცენარის ფოთლების, ტოტების ხის შტამბის მორწყვა და გარეცხვა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით). ამით ჩვენ ვაცილებთ ფოთლებს და მთელ ტანს რადიაციულ მტვერს მავნებელთა ექსკრემენტებს, შავ ლაქას, მცენარის მიერ პრეპარატების გამოუყენებელ, არასაჭირო ნარჩენებს, სუსტ პარაზიტებს და სხვა, ამასთან სველ ხეზე მცხოვრები პარაზიტები სრულიად პასიურები არიან და ვნებას ვერ აყენებენ მცენარეს. დაბანეთ მცენარეები ყოველ ღამე მაღალი სიცხეების დროს. განსაკუთრებით ივლის-აგვისტოში მორწყვა საღამოსაა უმჯობესი, ამ დროს ის პასიურ ე.ი. ძილის მდგომარეობაშია და გამოირიცხება დღისით მზის სხივების მოქმედების შედეგად მათი ჩახურება და ფოთლების ჭკნობა.

ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი რაიონი მდებარეობს ჭარბტენიან სუბტროპიკულ ზონაში და აუცილებელია დაბლობებში სადრენაჟო თხრილების გაყვანა. ნიადაგში ჭარბი წყალი და ტენი მცენარის ფოთლების ლპობის უცილობელი პირობაა, სჯობს ნიადაგი იყოს გამომშრალი, ვიდრე ჭარბტენიანი, თუმცა არც ესაა სასურველი დიდი ხნის განმავლობაში.

ურთულესია ემსახურო მცენარეთა დაცვის საქმეს, ამ აღნიშნული სირთულის გადალახვას ხშირად კლიენტთან, ადგილზე მისვლით ვცდილობ, ვიყენებ ელექტრო მიკროსკოპს, უამრავ თვალსაჩინო მასალას, კატალოგებს რითაც ჩემი ძირითადი მომმარაგებელი გერმანული კომპანია „ბასფი“ მამარაგებს, უფრო მეტად კი ვახდენ კლიენტის საფუძვლიან გამოკითხვას, რაც ზოგ შემთხვევაში გაუთვითცნობიერებელი კლიენტის გაღიზიანებას იწვევს. რას ვიზამთ უნდა გავუძლო, რადგან მიყვარს ჩემი საქმე, ხობი და ხობელები. მაღაზიის გახსნის არჩევანიც ხობზე შევაჩერე, ხობის სიყვარულთან ერთად მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა მხარდაჭერამ და თანადგომამ გადამაწყვეტინა. სანაცვლოდ მაქსიმალურად ვცდილობ ჩემს ხობს სიკეთე სიკეთითვე გადავუხადო.

რევაზ ბერაია,
მცენარეთა დაცვის სერთიფიცირებული მაღაზიის მეპატრონე.

ძვირფასო მკითხველო! მოგვწერეთ რა გაინტერესებთ, გაგვიზიარეთ თქვენი დაკვირვება, გამოცდილება. მოგვაწოდეთ თქვენს ეზოებში (კარმიდამოში) გადაღებული უცნაური და საინტერესო ფოტოები.

გავცვალოთ ინფორმაციები, გამოცდილება, რომ უკეთესი და ჯანსაღი პროდუქტები ვაწარმოოთ.

სულთათანა

ზურაბ ბუკია



საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი პატიოსანი ცხოვრებით, შრომისმოყვარეობითა და პროფესიონალიზმით სიცოცხლეს გვილამაზებენ. ზოგჯერ არ არის იმის აუცილებლობაც, რომ მათთან ყოველდღიური სამსახურებრივი თუ ადამიანური ურთიერთობა გქონდეს, მაგრამ გეიმედება, რადგან იცი, თუ გაგიჭირდა, ხელს წაგაშველებს, გასწავლის, გირჩევს, თანადგომით დარდს შეგიმსუბუქებს, ლხინს გაგილამაზებს, მაგრამ როცა ასეთი ადამიანი წუთისოფელს ტოვებს, დიდი ტკივილი რჩება...

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარების და არქიტექტურის სამსახურის მეორე კატეგორიის სპეციალისტის, მშენებელი ინჟინრის ზურაბ ბუკიას ცხოვრება იმის ნათელი მაგალითი იყო, როგორ უნდა იცხოვრო, იშრომო, როგორ უნდა გიყვარდეს შენი საქმე, რომ საზოგადოებაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრო, წარუშლელი კვალი დატოვო.

ჯერ კიდევ ოჯახიდან მიიღო სულიერი სიმდიდრე, პატიოსნებისა და ღირსების სრულყოფილება. ბუნებითაც ჩუმი და უპრეტენზიო გახლდათ.

თავისი საქმის პროფესიონალი–ასე დაამახსოვრდება იგი ყველას, ვინც მას იცნობდა და მასთან სამსახურებრივი ურთიერთობა აკავშირებდა. როგორც ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი, ხშირად იქ, სადაც სერიოზული დავა იყო ამა თუ იმ პრობლემის გამო, მუდამ სიმართლის მხარეზე იდგა.

მისი მეგობარი ვახტანგ ქადარია იხსენებდა: ამ კეთილი კაცისგან ყოველთვის მოისმენდი მოულოდნელ საჭირო სიტყვას საჭირო დროს, ხშირად ცდილობდა შენი საქმეც თავად ეტვირთა, ჩუმად გიმსუბუქებდა საქმესაც და ცხოვრებასაც, მის გვერდით ყოფნა დიდი სიამოვნება გახლდათო.

61 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან, ისევე ჩუმად, როგორც იცხოვრა, შველაც არავისგან უთხოვია, როცა უკანასკნელ გზაზე აცილებდნენ, ბევრისგან გაიგებდით, აქამდეც როგორ გაუძლო ასეთ მოუშუშებელ ტკივილს, ტრაგედიას, რომელიც მის ოჯახს განგებამ დაატეხაო. საფლავის ქვიდან კი ავტოავარიის მსხვერპლი 3 წლის მოცეკვავე შვილიშვილი (ახლა უკვე 10 წლის) გიო ბუკიას გაბრწყინებული სახე უმზერდა ცხედარს..

ბატონი ზურაბი გულტკივილიანი, თვალცრემლიანი, მაგრამ ამაყი წავიდა ამქვეყნიდან. ამაყი სიყვარულით სავსე ოჯახით. დატოვა ოჯახის საიმედო დედაბოძი–მეუღლე დარეჯან შამათავა, და მანანა, სამი დაოჯახებული ვაჟი, მოსიყვარულე რძლები, თვალხატულა შვილიშვილები. შვილებს იაგო, ნუკრი და უტა ბუკიებს, მათ შთამომავლებს, ცხოვრების საგზალად ეყოფათ მისი პატიოსნებით გასხივოსნებული სახელი.

2 მარტს ზურაბ ბუკიას დაბადების დღეს მიულოცავენ მეგობრები, მისი მონაგარი. კიდევ ერთხელ იტყვიან მისი სახელის სადიდებელს. თავად კი მის მონატრებულ შვილიშვილთან ერთად კეთილ მზერას გამოაყოლებს თითოეულ მათგანს.

დასანანია, რომ ვერ გაიხარა, ვერ მოიშუშა დიდი ტკივილი, შვილიშვილთა სიმრავლემაც ვერ შეუვსო ის დიდი დანაკლისი და ისე გაეცალა ცოდვამადლიან წუთისოფელს.

ნათელი დაადგეს უბოროტო, ტკივილიანი კაცის საფლავს.

მერი ლაგვილავა

ალიოშა (ხიტა) ჯოჯუა

ორმოცი დღე გავიდა, რაც შენ ჩვენს შორის აღარ ხარ. ამ დიდ დანაკლისს, სიმწარეს, დრო ვეღარასოდეს განკურნავს, ისევ მოუშუშებელი ტკივილი და იარა ხარ. მწუხარებამ მოიცვა შენი ოჯახი, ნათესავთა წრე, საძმო, სამეგობრო, შენი მშობლიური ქალაქი ხობი და ხობელები.

სიტყვებს ვერ ვპოულობთ, თვალცრემლიანებმა წარსულ დროში უნდა ვილაპარაკოთ შენზე, კეთილ საქმეებზე, ბევრისთვის მისაბაძ შენს ვაჟკაცურ თვისებებზე. ამ ქვეყნიდან შენი წასვლით შეგვახსენე, რომ წუთისოფლის შვილები ვართ და ვიდრე ძალა შეგვწევს, სიკეთე უნდა ვაკეთოთ. გვახსოვდეს და გვიყვარდეს ერთმანეთი, რათა მარტო არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე.

სულმაგარ და გულმაგარ ქართველ ვაჟკაცს შენი ქვეყნისა და შენი ხალხის ტკივილი გტკიოდა და ამ ტკივილმა თითოეული ჩვენთაგანისთვის შეუმჩნევლად მთელი შენი სული, გული და არსება დაისაკუთრა. უკანაკნელ გზაზე ისეთივე ლაღი და გულმართალი იყავი, როგორც მთელი ცხოვრების მანძილზე. გვიჭირს ჩვენს საძმო-სამეგობროს რეალობასთან შეგუება. გვაკლია შენი გულის სითბო, ღიმილი, მოფერება. მონატრება დროსთან ერთად მატულობს. რაც დრო გადის გვენატრები ყველას და ამ მონატრებას უსაშველო ტკივილი ახლავს, მაგრამ გულს იმით ვიმშვიდებთ, რომ გარდაცვალება მარადიული სიცოცხლისა და უკვდავების დასაწყისია.

ხობისა და ხობელებისთვის შენს მიერ გაწეული ღვაწლი და ამაგი დიდი საგზალია ზეციური სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე. შენ ხომ ვაჟკაცურად იცხოვრე არც უფალთან და არც საზოგადოებასთან ვალში არ დარჩენილხარ, იძინე მშვიდად. შენი სანაქებო ოჯახის ტრადიციებს მეუღლე პედაგოგი ნელი ბერაია, შვილები და შვილიშვილები გააგრძელებენ და სათანადო პატივს მიაგებენ შენს ნათელ ხსოვნას. შენ ხომ მათ მარადიული სიმდიდრე–შენი ადამიანური თვისებები: სიკეთე, სიყვარული და კაცური კაცის სახელი დაუტოვე, ქვეყანას კი ჩვენდა საამაყოდ მაღალი ადამიანური თვისებებით შემკობილი შთამომავლობა.

ჩვენ, შენი მეგობრები, იმედით და უფლისმიერი სიყვარულით ჩვენს ლოცვებში შევავედრებთ სამყაროს შემქმნელს შენს ლამაზ სულს და მთელი სიცოცხლის მანძილზე, სათუთად შევინახავთ შენს ნათელ ხსოვნას. იმედი გვრჩება, უფალი შეეწევა შენს მართალ, ალალ, უბოროტო სულს და დაგამკვიდრებს ცათა სასუფეველში, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ქ. ხობის №1 საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულების სახელით
ალექსანდრე (საშა) არჩაია.

სპარტაკ ყორშია

სპარტაკ ცეზარის ძე ყორშიას ტრაგიკული გარდაცვალება მეხის გავარდნასავით მოედო სოფელ პირველ მაისს, ბევრ ადამიანს გული დასწყვიტა ახალგაზრდა კაცის სიკვდილმა. ორმოცდაცხრა წლის ადამიანს წინ ჯერ კიდევ ბევრი გასაკეთებელი საქმე აუსრულებელი დარჩა.

მას თავის შვილებზე ამოსდიოდა მზე და მთვარე, ორი გოგო და ერთი ვაჟიშვილი დარჩა, გოგონები დაოჯახებულნი არიან. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე უზომოდ გაიხარა, მისი სიძე, არაჩვეულებრივი პიროვნება, ეროვნებით თურქი, ექიმია და პატარა თურქი შვილიშვილი გოგონა შეეძინა, სიხარულით ცას ეწია, მის ნახვას ნატრობდა. როდის დადგება ის დრო, შვილიშვილს რომ ვნახავო. მაგრამ არ დასცალდა, ისე წავიდა იმ სასუფეველში. დატოვა გულდათუთქული დედა, და-ძმა.

სპარტაკ ყორშიამ მთელი თავისი ცხოვრების ნაწილი კაცურ-კაცობით იცხოვრა, მის კაცობაზე ვერავინ აუგს ვერ იტყოდა. საოცრად პეწიანმა, მუდამ მოწესრიგებულმა, ახლობლებსა და მეგობრებზე მზრუნველმა დატოვა წუთისოფელი.

უდროოდ წახვედი სპარტაკ ამ ცხოვრებიდან და გადახვედი მარადისობაში. მშვიდად განისვენე.

გიგლა კვიკვინია,
ფაზისის საერო აკადემიის აკადემიკოსი

ზაური ლატარია

რა უცებ გაირბინა წელიწადმა და დადგა ის ავადმოსაგონარი დღე, შენ რომ დატოვე წუთისოფელი, მამა!

გულში ის სევდა და დარდი ჯერაც არ განელებულა. გვიმძიმს შვილებს უშენობა... წუთისოფლის კანონებს წინ ვერავინ დაუდგება. მიუხედავად იმისა, აკლიხარ შენს კარ-მიდამოს, მეზობლებს, ახლობლებს ცხოვრება გრძელდება, შენს დიდ ოჯახში ჟრიამულია, გაზაფხულის დადგომასთან ერთად საფლავს ეფერებიან შენი შვილები და შვილიშვილები. იებითა და ენძელებით გირთავენ მსუბუქ მიწას.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია სანთელი ავანთოთ შენს საფლავზე და უფალს ვთხოვოთ შენი სული ნათელში გვიმყოფოს.

ეკა ლატარია.

ნათელი დაადგეთ

სოფელ ნოჯიხევს გამოაკლდა ღირსეული ქალბატონები **ნათელა ფაფია-ქაქუთია** და **გული შულაია-გვასალია**. მათი ზეციურ სამყაროში გადანაცვლება ორმაგად დასანანია, რადგან ამ პირგაზაფხულზე, ღვესასწაულების მოლოცვისთვის ვემზადებოდი, მაგრამ წუთისოფლის კანონებს ვინ შეცვლის... მათზე წარსულ დროში მიწევს საუბარი. ვინც მათ იცნობდა, დამეთანხმება, რომ ისინი კეთილშობილი და უწყინარი ადამიანები იყვნენ. პატიოსნად იშრომეს, არაჩვეულებრივად კარგი მონაგარი დატოვეს და ლამაზად გავლილი წლებით მხრებდახუნძლულნი, ვალმოხდილები წავიდნენ ამ წუთისოფლიდან. დანანებით და სიყვარულით გეთხოვებით თქვენს ამაგდადებულ ახლობლებთან და მეზობლებთან ერთად.

ნათელში გამყოფოთ უფალმა.

ჯულიეტა ლატარია.

თინა ლოლუა-ბერაია

3 მარტი–დედის დღეა, დედა! შენ კი ნაღველშეპარული, მომღიმარი მზერით გვიცქერი სურათიდან. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები, დედა! ვუცქერი შენს საფლავს და ჩემს თვალწინ ცოცხლდება გარდასული დღეები, საოცრად ლამაზად ჩავლილი წლების ხიბლი. მძიმეა იმ დღეების გახსენება, რაც დრო გადის მით უფრო მტკივნეულია შენთან განშორება, დედა.

ჩვენო უკეთლშობილესო, დაუზარელო, მოამაგევ, საყვარელო და სტუმართმოყვარევ. გვენატრება შენს შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს შენი სითბო, ალერსი. ტრადიციად ადამიანურობა და კარგი ოჯახური წეს-ჩვეულებები დაგვიტოვე. ჩვენზე ზრუნვაში დაღლილო, არავინ შეგიწუხებია, ისე ჩუმად დატოვე წუთისოფელი. შენს ოჯახში უშენოდ სიცარიელეა. მამის გარდაცვალების შემდეგ შენ იყავი ჩვენი იმედი. ხოლო შვილიშვილის დაკარგვის შემდეგ, რომელიც ჩვენი ოჯახის გვარის გამგრძელებელი იყო, ცხოვრებამ ფასი დაკარგა შენთვის. თუმცა სხვას არასოდეს აგრძნობინებდი, გულისტკივილს ჩუმად ატარებდი. ჩვენ ვერასოდეს დავივიწყებთ შენს თვალებში ჩაგუბებულ სევდას და ნაძალადევ ღიმილს. არასოდეს იღლებოდი ჩვენზე ლოცვაში. ახლა კი ჩვენ ვლოცულობთ შენზე და ღმერთს შევთხოვთ, რომ ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

გულნაზი ბერაია-ჯიშკარიანი.

ვულოცავთ

დიანა ლომაია საქართველოს ქალთა ოლიმპიური ნაკრების წევრია

ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე 15 წლის **დიანა ლომაიამ** მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

12-17 თებერვალს თბილისში გამართულ ალექსანდრე ბოკუჩავას თასზე ბრწყინვალე შედეგით–7 შესაძლებლობიდან 7 ქულა, იასპარეზა ხობის სასპორტო სკოლის აღზრდილმა დიანა ლომაიამ (პირველი მწვრთნელი–ეროვნული ოსტატი **ირაკლი გეთია**, ამჟამად მწვრთნელები ეროვნული ოსტატი **გოჩა ჩაჩუა**, დიდოსტატი **ზურაბ სტურუა**).

დიანამ არამარტო პირველობა დაიკუთრა, არამედ რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და საამაყოა, დაიბევა ადგილი საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელსაც 2020 წლის 2-12 ოქტომბერს აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო უმასპინძლებს.

ეს ოლიმპიადა დიანასთვის რიგით მეორე იქნება. ბოლო დროს მიღწეული უზარმაზარი პროგრესი, სახელგათქმული დიდოსტატის ზურაბ სტურუას დამსახურებაა.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ჩვენს ვარსკვლავ გოგონას ამ სანაქებო შედეგს და წარმატებებს ვუსურვებთ მსოფლიო ოლიმპიადაზე.

ირაკლი გეთია, ხობის სასპორტო სკოლის მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

შეხვედრა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან

თბილისის საკრებულოში, პროექტის „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ქალთა ოთახების სტანდარტიზაცია და მასშტაბების გაზრდა“ ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების გაფართოებული სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

პროექტი „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ქალთა ოთახების სტანდარტიზაცია და მასშტაბების გაზრდა“ ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხელშეწყობით ხორციელდება და საქართველოს 29 მუნიციპალიტეტში მუნიციპალური სერვისის –„ქალთა ოთახების“ არსებული მდგომარეობის შეფასებას ისახავს მიზნად.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებში სპეციალისტი თამუნა სიჭინავა, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, საკრებულოს დეპუტატები, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და მერსი ქორპსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახები“, როგორც მუნიციპალური მომსახურებისა და დახმარების რესურს-ცენტრი, რამდენიმე რეგიონში სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგონების დასახმარებლად გაიხსნა.

გაფართოებული სამუშაო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული.

ექიმი გვირჩევს

თქვენი შვილის „მოგზაურობა“ სტომატოლოგთან

უამრავი პრესტიჟული კვლევა აჩვენებს, რომ ზრდასრულები შეძლებდნენ უამრავი სტომატოლოგიური პრობლემის თავიდან არიდებას იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ბავშვობის ასაკშივე დაიწყებდნენ კბილებზე ზრუნვას. ამიტომაც, მე, როგორც ექიმი, გირჩევთ შვილები ადრეულ ასაკშივე ატაროთ სტომატოლოგთან, რათა სამომავლო საფრთხისგან თავი დაიზღვიოთ. თუმცაღა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ბავშვისა და სტომატოლოგის ურთიერთობა საკმაოდ სპეციფიკურია და ის მხოლოდ სამედიცინო პროცედურებს არ მოიცავს.

მოგეხსენებათ, პატარა პაციენტებთან მუშაობა ექიმის მხრიდან განსაკუთრებულ ძალისხმევას, პროფესიონალიზმსა და ამასთან ერთად, ფსიქოლოგიურ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. ყოველივე ეს საჭიროა იმისთვის, რომ ექიმმა ნორჩი პაციენტის ნდობა მოიპოვოს.

პირის ღრუს პრობლემები, სამწუხაროდ, ბავშვებს პატარა ასაკიდანვე ეწყებათ, რისი მიზეზიც სხვადასხვა ფაქტორი შეიძლება იყოს. მაგალითად, არასწორი კვება, პირის ღრუს არასრულფასოვანი ჰიგიენური მდგომარეობა, ძილის დროს არასწორ პოზიციაში წოლა, საწოვარას ან თითის წოვა, მშობლების არასაკმარისი ინფორმირებულობა, ნაადრევი ექსტრაქცია (კბილის ამოღება), რომელიც მომავალში აუცილებლად გამოიწვევს არასწორი თანკბილვის განვითარებას.

ამჯერად მინდა ყურადღება გავამახვილო უმთავრესზე–ექიმისა და პატარა პაციენტის ურთიერთობაზე, ნდობის მოპოვებაზე. იმისათვის რომ პატარას სტრესული მდგომარეობა არ შეექმნას, პირველი შეხვედრა, როგორც წესი, გაცნობითი ხასიათისაა. ეს შეხვედრა გულისხმობს პატარა პაციენტსა და ექიმს შორის დიალოგს (ყოველგვარი პროცედურული ჩარევის გარეშე). ნორჩ პაციენტს შეუძლია დაათვალიეროს კლინიკაში არსებული ნებისმიერი დანადგარი, რათა დარწმუნდეს მის უსაფრთხოებაში და მეტი სითამამით გაიაროს სამკურნალო პროცედურა.

მინდა ვთხოვო მშობლებს:

* თანამედროვე სტომატოლოგია საშუალებას იძლევა თქვენს პატარას დროულად აღმოვუჩინოთ ნებისმიერი სახის სტომატოლოგიური დახმარება (თერაპიული თუ ქირურგიული) ყოველგვარი ფსიქოემოციური დაძაბულობის გარეშე.
* ეცადეთ ბავშვს ბევრი ესაუბროთ იმაზე, რომ სტომატოლოგთან ვიზიტი არ არის ისეთი საშიში, როგორადაც ისინი ამას აღიქვამენ.
* ბავშვები პატარა ასაკიდანვე შეაჩვიეთ კბილების გამოხეხვას; დააინტერესეთ ექიმის მიერ დანიშნული ფერადი ჯაგრისით და სხვადასხვა არომატის მქონე საბავშვო კბილის პასტით.
* არ იფიქროთ, რომ სარძევე კბილებს მკურნალობა არ სჭირდება, ეს პირდაპირ კავშირშია ჯანსაღი მუდმივი კბილების ამოჭრასთან.
* ყოველ 3 თვეში ერთხელ გამოყავით დღე, რომელსაც დაუთმობთ თქვენს პატარასთან ერთად სტომატოლოგთან ვიზიტს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა არცერთი კბილი არ საჭიროებს მკურნალობას, რათა ბავშვს სამომავლოდ გაუჩნდეს ექიმის ნდობა და სიყვარული. გარდა ამისა, არსებობს სტომატოლოგიური პრობლემები, რომლებიც შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს, ამიტომაც თავის დაზღვევის მიზნით სასურველია მიმართოთ სტომატოლოგს.
* გახსოვდეთ, პატარა პაციენტების შეხედულებას ექიმისადმი დიდწილად განსაზღვრავს თავად მშობელი.
* ნუ შეაშინებთ ბავშვს ექიმით!

კლინიკა DENTAL LAND-ი მაქსიმუმს აკეთებს იმისათვის, რომ ნებისმიერი პაციენტისთვის და მათ შორის პატარებისთვისაც, ვიზიტი იყოს მხიარული, სასიამოვნო, შემეცნებითი, და რაც მთავარია, უმტკივნეულო. ისეთი, რომ ამ ვიზიტის შესახებ თავად მოუყვეს სხვებს.

თქვენ და თქვენს პატარებს გისურვებთ ჯანმრთელობას და უამრავ სასიამოვნო მიზეზს ღიმილისთვის, რომელიც ასე ამშვენებს ნებისმიერ მშობელს და მით უმეტეს, პატარას.

ლანდა ჯიქია, კვალიფიციური ექიმი სტომატოლოგი, მოზრდილთა და ბავშვთა თერაპევტი, პირის ღრუს ქირურგი

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.